გამოცემა „ქართველთა ამხანაგობისა“ № 1.

# ბაჩანა

## დაბადება და აღზრდა

## ერეკლე ბატონიშვილისა.

(ლეგენდა)

БИБЛИОТЕКА

თბილისი

სტამბა-ლითოგრაფია მესხიევისა და ჭოლოყაშვილისა.

1890 წ.

*Дозволено Ценз. Тифлисъ, 7 Мая 1890 г.*

Типо-Лит. Месхіева и Полетаева.

# დაბადება და აღზრდა

# ერეკლე ბატონიშვილისა

ბატონიშვილს ერეკლესა,
ირმის ძუძუ უწოვნია;
საჩალეში გადაეგდოთ,
მონადირეს უპოვნია;
წყალი უსვამს ალგეთისა,
თრიალეთზედ უძოვნია.

ხალხური სიმღერა.

## I

ბჟუტავს ულურსი ვარსკვლავი,
ზეცა დაუშვენებია,
ცას, რაცა აქვს, სულ ზედა აქვს,
ისე დაუფერებია;

საპატარძლოდ მოკაზმულა,
თავი მოუქალებია;
სინათლეც სრული არა აქვს,
რაცდას დაუბნელებია.
გზასა სძინავს; ხალხი ხვრინავს;
ბუ კივის და ჭოტი წივის;
ჩიტსა სთვლემავს, მელა ჰზვერავს,
მდინარეზედ წყალი შხივის.
მთას და ბარზედ სიბნელესა
შავი ლანდი უფარია;
ტლუსა ბიჭსა, საყვარელსა
დანიშნულთან უჩქარიან.
ჭაობებში ბაყაყების
საუცხოვო ქორწილია;
ნამკლოვანში ჭრიჭინების.

უთავ-ბოლო მახილია.
ზვარში ვაზი მომწიფული,
ქალი თავს არ ათხუებსა;
ფოთლების ქვეშ მტევნებს ჰმალავს,
როგორც გოგო ძუძუებსა.
სოფლის ახლო ქურდ-ბაცაცა
ღნავის, წკნავის ტურის ხროვა;
ვენახების სტუმრობა ჰსურს,
თუ გლეხმა არ დაითხოვა.
ყველგან შიში, ყველგან ვიში,
ყველგან სისხლის მორევია;
არსად არის ბელანქიში, [1]
დიდო [2] კახეთის დაჰრევია.

---

[1] ბელანქიში—ბელადი, მეთაური, მოთავე.
[2] დიდო — ლეკებია.

კახი ჩის და იგრე ჭმინავს;
ხელში თოფი უპყრიათ;
ხუდარი და იარაღი
ორივ გვერდით უწყვიათ.

## II

მხოლოდ ერთი ვეღარა ჰგრძნობს;
ვერც შიშს და ვერც სიბნელესა;
ფეხ-აკრეფით გზას მიიგნობს,
არღვევს ღამის სიჩუმესა:
თურმე ქალსა მშვენიერსა
ტან-ტურფა, პირ-ვარდიანსა
ერეკლე ბატონიშვილი
ეშვა ღამე ბნელიანსა.
ვოგო იყო საბატონო,

ეშინოდა გამიგებსო;
მეტრფიალა და არ დავყე,
შარად იმას მამიდებსო;
მამას, შვილსა და დედასა,
სამსვე ბოლოს მოგვიღებსო.
ადგა და წამოიყვანა
ყმაწვილი საჩალისაკე, [1])
ფურ-ირემივით იხედავს
მალი-მალ უკანისაკე.
სოფლის იქით მეღამურმა ) [2]
თან-თან ფეხი ააჩქარა;

---

[1]) საჩალე—ჩალიანი მინდორია სოფ. ახმეტას ახლო, კახეთში.

[2]) მეღამურები ჰქვიან იმ ფრინველებს, რომლებიც მხოლოდ ღამ-ღამობით გამოფრინდებიან ხოლმე.

საჩალემდის მისვლამდინა
კოკო არხად არ შემდგარა.
აქ კი შედგა, დაიყურა,
ირგვლივ თვალი მოაყოლა;
ფანჩოს ძველში [2]) გახვეული
შვილი გულზედ მიიტოლა;
უთხრა: «დედა გენაცვალოს»,
ზედ ქვითინი დააყოლა.
ცრემლი წაჰსქდა, ქალი შადგა,
ჩქამი გახდა ლერწმოვანსა;
პირით პირობამდის გაჰყვა
მინდორს ათას ფეროვანსა.
ირმის ჯოგი დგომილიყო
იქვე ახლოს ჭალაშია;

---

[2]) ფანჩოს ძველი—ტყლაპ-ტყლუპი.

მიფრთხა, მოფრთხა რაც რამ იყო,
გადაცვივდა ჩალაშია.
ფშნატ-ფშუტხედ ქალი შეჩერდა,
მაგრამ არ დაიხანაო;
საცა რომ ხშირი ჩალაა,
ბავშვი იქ შაიყვანაო.
დაუგო რბილი ლოგინი
ცრემლის და ბალახებისა;
ზედ დაუფინა საბანი
უბრალო ნალახებისა.
ზედ დააწვინა ვაჟუნა.
პირ-ვარსკვლავა ყმაწვილია,
ერეკლე ბატონიშვილი,
«უკანონოდ» შობილია.
ბავშვმა დედას შამოჰხედა

დიდის, მშვიდის თვალებითა
და გრძელ-ხშირი ნაწნავები
დაუჭირა ხელებითა.
«გიკვირს, შვილო,» დედამ უთხრა:
«მშობელი რას გიშვრებაო?!
რად უნდა, ღმერთმა ნუ მისცეს
მტერსაც შენსავით დედაო!
მოუნათლავს, ნაბიჭვარსა
გადაგდებაც დაგიმეტა;
მოდი, სხვა ვინ შეგიბრალებს,
დედამაც რო გაგიმეტა?!
რატომ ეხლა შინ არა ხარ,
მამა გულს არ გიგორებსა?
ჩვენი ცოდომც მისწევია
ბატონ-ყმობის მამგონესა!

მტერიმც არის საბატონო,
მტერიმც არის სხვისა ყმაო!
არც დედისა, არც მამისა,
არც შვილისა «ჩემი»-ს თქმაო!
არცა ძმებსა და უქვიანთ,
არცა დებსა და და ძმაო!
შენი, თორე ჩემსას კია
არ დავდევდი სიცოცხლესა;
გაიგებდა, რო იმისა,
სხვისას ვანაცვალე მ'ხესა—
მაშინ ვაი ჩემსა ბედსა,
ჩემის თვალის სინათლესა!
გევედრები ალავერდო, [1]
მოწყალეო სახიერო,

---

[1] ალავერდი—ალავერდის სობორო.

წმინდა თეთრო გიორგიო, 1)
მაღლა, მამავ ზეციერო:
ყველასგან ფეხით სატკეპნსა
იღბალი მიგავს შარასა;
თუ კიდე ჴხედავთ დედასა
და იმის მწუხარებასა,
თქვენ შამიბრალეთ, ვაბარებ
ჩემს შვილს თქვენს მოწყალებასა!
კისერზედ ჯვარი დაჰკიდა
და სანაწილე გულზედა,
სტირის და თავზედ ევლება,
მიცურავს ცრემლის რუვზედა.

---

1) თეთრი გიორგი—აწყვერის ეკლესია.

## III

ბავშვი უცინის დედასა,
შაჰხედავს—ეფოფინება;
შაჰრიგდა, ძუძუ მოსთხოვა,
ხელებით ეპოტინება.
დედამაც მისცა, და ბავშვმა
იწყო ნელ-ნელა წოვაო;
დიდხანს არ იყო, ღვიძილსა
მოკლედვე დაეთხოვაო;
მასთან არც სევდა გაყრისა,
არც სამდურავის ჩნევაო;
არც იმის შიში და ფიქრი,
წავა და აღარ მოვაო!
ღრმად და უმანკოდ ეძინა.
დედამაც წყნარა-წყნარაო

სიფრთხილით გამოაცალა
მუმუ... და გაეპარაო.

## IV

ყრმას სძინავს. ღამე ხშირდება.
ცა ასავსავებს ხალებსა;
დაწრწის, მიდ-მოდის ნადირი,
მგელი აცეცებს თვალებსა;
ხან ქარიც შამოვარდება,
შააშრიალებს ჩალებსა.
ზოგჯერ საჩალის მიდამოს
ტყეში ნალეწი გატყდება;
გამოდის ხარი ირემი,
ყათლაღის პირას დადგება;
თავს დასწევს, დაიღრიალებს,

ღორბლები მოედინება;
ცოტა ხანს ასე უჩუმრად
სდგას და ფურს ელოდინება;
თუ მოუვიდა—კარგია,
ამასაც გაეხარება;
თუ არა, ერთი ისკუპებს,
ჩალაში შაეფარება.
ამ დროს ტყე-მინდვრის ყვავილნი,
წითელ, ყვითელა, ჭრელანი;
ხელი-ხელ ჩაკიდებულნი
ერთად მიდიან ყველანი.
ბელადად დაუყენებავთ
უმილო ლილიფარაო; [1]

---

[1]) ლილიფარა-ყვავილია; ღამე იშლება, დღე ისევ იმალება ან ჭკნება.

ციცინათელა თანა ჭყავთ,
მითომ და «კელაპტარაო»!
ანაზდად გაუგონიათ
ერეკლე დაბადულაო;
და ამ დაია, ძამიათ
ჯარი იქ წამოსულაო.
მაგათი გულის ჭირიმე,
არ ეპოვებათ ცალია;
სიმშვიდე, სიკეკლუცითა
არ მოჭშორდებათ თვალია.
მომწონს მაგათი მშვენება,
სიწმინდე, სილაღესთანა;
სხვადაც ბუნების სისრულე,
სინაზე, სიტურფესთანა.
ქმობილთან მოუხარიანთ,

მოდიან ჩქარა-ჩქარადა,
«პატარას» ლოგინს მოერტყნენ,
შეჰმღერეს წყნარა-წყნარადა:

1

«გაზაფხულის წვიმა მოდის,
მალე მთა, ტყე აყვავდება.
მთვარე ახლად დაბადული
მალე ცაზედ შამოჯდება;
საქართველოს შავ-ბნელი ცა
კიდე ერთხელ განათდება;
მაგრამ ხან გრძლივ ვერ გასტანავს,
მალე ზღვაში ჩავარდება.»

2

«პატარა ლეკვს ტოტზედ ჰ[illegible]ნავს

აზიისა ლომისასა; [1])
ნეტა ჯაჭვზედ რად აბამენ
მონატრესა ომისასა?
დრო მოვა და აზეზდება,
გაუფრთხილდით დამბმელებო:
თავისუფლად ველარ ივლით,
მაწანწალა ცხოველებო!»

V

ყვავილნი ეშხში არიან,
ჰგლიან ქვასა და ქვიშასა;
ძველებს იხდიან, სხვას იცმენ
ახალსა ბიჯი-ბიჯასა.
თან ისე მწყობრად მღერიან

---

[1]) ერეკლეს აზიის აზეზებულ ლომს ეძახდნენ.

ცისას და ხმელეთისასა;
სულ უცხო-უცხო, სხვა და სხვის
ჭანგის და მილეთისასა.
ზედაც ჭკოცნიან ერეკლეს,
ულოცვენ დაბადებასა;
ნატრობენ მისთვის სიცოცხლეს,
გაზდას და გამარჯვებასა.
ტყე და ბალახიც იმათთან
იშვებდა, ქრიამულობდა;
ცაც სასალუქოდ მორთული
მაღლიდამ მხიარულობდა.
ბავშვს ისევ იგრე ეძინა
დედა ბუნების უბეში,
როგორც მშვენიერს ყვავილსა
თავის ჰაწია ბუდეში.

უცებ კიჟინი მოისმა,
შეიქმნა ჴრეულობა;
«ვაჴმე», «მოვიდა»ს ყვირიან,
მოშალეს მხიარულობა.
ყველამ ყრმას ახლო სხვა და სხვა
ადგილი გაინაწილა;
ზედ დატანებით ყმაწვილმა
თვალები გამოახილა.
მოვიდა ორი მცურავი
გველი ლაქლაქა ენითა;
ორთვე ერეკლეს მიჴმართეს
სისინითა და შქენითა.
რა ნახეს იმათ ყვავილნი,
გზაში დარაჯად მდგომლები,
შადგნენ და ხახა გააღეს,

გადაამალეს დორბლები, —
მსწრაფლად მოესპოთ სიცოცხლე
და ჩამოსცვივდათ ფოთლები.
გალაღდნენ; სიამოვნითა
აუფანცქალდათ გულები
და დაემგერნენ ყმაწვილსა
წვერთაზედ პირ-დაღებულები!
მაშინ შეიძრა ერეკლე,
გააფორთხალა ხელები
და დაუჭირა ორთავეს
ჩამოსახრჩობი ყელები.
ერთი კი მალე დაახრჩო,
უსულო შეჰკრა ფრჩხალებში;
სხვამ სანაწილე მოსტაცა
და გადაუსტა ჩალებში.

დარჩა ისევე მარტოკა
ობოლი უმეშვლიოსა,
ადგილსა უღრანს, უხვედრსა,
ღამესა უმთვარიოსა.
თითქო ეხლაღა შეიგნო
წარსულის უბედურობა:
ღამე, შიში და შიმშილი,
ადგილის უდაბურობა.
სიწყნარე ღელვამ შესცვალა
და შიში განცვიფრებამა;
ის იყო კიდეც დასძლია
სატირლად გულზიდებამა,
რო ამ დროს ჩქამი მოიღო
ბალახმა მგლოვიარემა,
და ემაწვილს გადაალაჯა

ირემმა მწოვიარემა.
ყვავილნი ისევ გაცოცხლდენ,
მინდორმა მოილხინაო;
ცაც ისევ გამხიარულდა,
პირს ვარდი მოიფინაო.
ფურმა დაუწყო წოვება
ცივმა გომბორის მთისამა;
ღალამ გაზარდა ქრეკლე
თავისუფალის რძისამა.
გამზრდელად იმისთანაი
ბევრს დედა ენატრებოდა;
სამოვრად ვაკე-მაღლობთა,
თრიალეთს ეტანებოდა, [1]

---

[1] თრიალეთზედ მეცხვარეების თქმულებისა-მებრ, თურმე, ძალიან ნოყიერი ბალახი იცის.

სასმელად არაყვის წყალსა,
ალვეიზედ ეტარებოდა.
სულ-კურთხეულის გაზდილი
ბევრსა სხვას არა ზარობდის;
დედა, გამზდელად შექმნილი,
სმა-ჭამას არა კმარობდის.
ხან ცაზედ შეჰქმნის ნავარდი,
ელელ-ვარსკვლავთა ჰსწორავდის;
მზეზედ დაიგის ლოგინი,
მთვარის უბეში გორავდის.
ხან მიატოვის ლაჟვარდი,
საკვირველება მაღლისა;
ქვეთკე დაეშვის, შამავლის
მიწა და წყალი დაბლისა;
ხელშია ჰქონდის სასწორი,

საზომი ცოდვა მადლისა.
არ დაჰრჩის შეუხედავი
ყოფნა მდიდრის და საწყლისა.
დავლის მთები და მინდვრები,
სოფლები ქალაქებითა;
ტყე და ბალახი სხვა და სხვა.
ფერით და სახელებითა.
ხან უამბობდის ზღაპრებსა,
ამბებს სხვა დროებისასა;
შეაყვარებდის სახელსა
გმირობა, დიდებისასა.
ხან უმღეროდის ლექსებსა
ტრფობის და ყვარებისასა;
უქებდის პირსა და ტანსა
ლამაზის ქალებისასა.

თაყვანსა სცემდის სიბრძნესა
და უკვდავს ხელოვნებასა;
გონივრად გაზრდილ, გაწრთვნილსა
ჭკვასა და გემოვნებასა.
მეცნიერება გზად უჩნდის,
ბუნება—სასწაულადა; [1)]
სანთლად—კვლევა და ძიება,
სისრულე—საწყაულადა.

## VI

ამასობაში ერეკლე
დღითი-დღე გაიზრდებოდა;
თხუთმეტი წლისა შესრულდა,
ვაჟკაცი შეიქმნებოდა.

---

1) სასწაული—სასწავლო, შესასწავლელი.

ტრამას დასწვიმა, დაჭნამა,
მიწას დაულპა გულია;
საცა ითესა, ზღვა გასქდა,
გამოხდა სასწაულია.
შეიქნა მოუმე უსწორო
შინაგან გარეგნობითა:
ჭკვით ბრძენი, გულით ლმობილი,
«გმირთ-გმირი» წინასწრობითა.
ხალხის თქმა, — მოლექსის ქება
მეტი არ მოვა ცხადზედა,
იმისი მსგავსი მეორე
არ იყო ქვეყანაზედა.

## VII

აძ დროს ქართველთა სისხლისა

ტბები და ზღვები მდგარაო;
ისპაანურსა ვეშაპსა
უსვამს და ვერ გამძღარაო.
ზოგჯერ ღრუბლები არ იყო,
სწვიმდა, ღვარები ხვიოდა;
თურმე, ჩვენს ქართველ ტყვეებსა
ცრემლები ჩამოსდიოდა!
ჩვენსა უკეთესს ქალ-ვაჟსა
ირანში ელალებოდენ;
გზა-გზა მიჰშლიდენ ცრემლებსა,
მაგრამ არ ებრალებოდენ.
ღმერთმა მოჰკითხოს პასუხი,
თუ არას გვემართლებოდენ!!
ამას ჰხედავდის ერეკლე,
გულშია ჰსრდიდა ზღვევასა;

ბოლოს დროს გამოაცხადა,
ღმერთს შაევედრა შველასა.
იმანაც გამოუგზავნა
«დავით ფერული» ხმალია; [1])
უბრძანა: «წადი, დაიცევ
შენ შენი მიწა-წყალია;
ვინც შენა გკლავდეს, შენც მოკალ,
მირში მოსთხარე თვალია!
ერის მოთავედ დაგნიშნე,
ნუ დაიზარებ შრომასა;
წადი, ბელადად გაუძეღ
იმის ბედსა და ნდომასა.
არ დაავიწყდეს სიმართლე

[1]) „დავით ფერული" ერთი ჯურა საუკეთესო ხმლებისაა.

ჭკვიანთა ქადაგებისა,
რომ ყველას ბარ და ბარა აქვს
ნება ღვთის ღაღადებისა.
ყველას სწყურიან სიცოცხლე,
ყოფნა მზის სინათლეზედა;
არავის ხელეწიფება
სხვის სიკვდილ-სიცოცხლეზედა.
მხოლოდ საერთო სურვილი,
ნდომა და გამოცდილება —
ერთი ძალაა, რომელსაც
ყოველი ემორჩილება.
ამიტომ წყეული არის
მოსისხლე თავის ნებისა,
ტყუილ-უბრალოდ მდევნელი
სხვა და სხვა ეროვნებისა.

ყველას თანაბრად უყურე
დიდებულსა და გლეხსაო;
მაშინ მეც მეშვლად გექნები,
მეც მოგიმართავ ხელსაო.
დაე, «ბატონებს» ეძახდენ
მეფეთ შენს უწინარესსა.
შენ კიდე: «ხალხის მოძმესა,
თანასწორს, უწყინარესსა»!...

დამისსენ, თევზთ-ხელმწიფეო,
ცოლმა აღარ გამახარა:
ახლა ქოხი მოინდომა,
შენთან თხოვნა დამაბარა....
სწორედ აღარ მომისვენა,
ახალს ქოხს მთხოვს, მებადურს!..
სად შევიძლო აშენება,
ვინ რა მომცა, უბედურსა"!....
„ნურას სწუხარ:—უთხრა თევზმა,
მე გაგიწევ სამსახურსა,
გასწი შენთვის შენს გზაზედა,
შინ დაგხვდება, რაცა გსურსა".
გამობრუნდა ბერი-კაცი,
შინ მოვიდა მოღალული:
ჰხედავს, ქოხი გაჭიმულა,
ახალი და მოჩალული,
დერეფნით და სანათურით,
სულით მაღლა მოყვარული.
დედა-ბერი წამომჯდარა,
იღრინება გულ-მოსული:
„შე ჩერჩეტო, ქმარს შესძახა,
რას დადისარ უსიეროთ?!..
ჩალის ქოხი რად მინდოდა,
შიშით ცეცხლი ვერ დავინთოთ!
მე გლეხობა აღარ მინდა,

რომ ვიტანჯო მუდამ ულმრთოთ,
აზნაურად მინდა ყოფნა,
თითონ გლეხებს ძილი ვუფთხოთ!"
მებადურმა კისრის ქექით,
გამოსწია ზღვისაკენა:
ზღვა აღელდა, შექმნა ფრთონა,
ტალღები არ დააყენა;
გამოცურდა, ოქროს თევზი,
ბერ-კაცს თავი მოაჩვენა,
შემოსძახა: „მებადურო!
ხომ არ გიჭირს რამე შენა!"...
ბერი-კაცი უკრავს თავსა,
მოახსენა კრძალვით, წყნარა:
— ი წყეულმა დედა-ბერმა,
უფრო მეტად გამამწარა,
გამომლანძღა, გამომთათხა,
სწორედ აღარ გამახარა;
აზნაურის ღირსებას მთხოვს,
გამომაგდო შენსკენ ჩქარა.
„ნურას სწუხარ, საცოდავო!—
უთხრა თევზმა მებადურსა—
მაგაშიაც შეგეწევი,
მე გაგიწევ სამსახურსა....
გასწი შენთვის შენს გზაზედა,
აგისრულებ, რაცა გსურსა"....

ბერი-კაცი თევზს მადლს უხდის,
გაოცებით უგდებს ყურსა...
შინ მობრუნდა მებადური,
გადირია, თქვენი მტერი!...
პალატს ჰხედავს უზარ-მაზარს,
იყურება როგორც შტერი...
წინ ჩარდახი—მოაჯრათა...
წამომდგარა დედა-ბერი,
გადაუცომს ატლას-ბაბთი
და ქათიბი ვარდის ფერი;
ყელს უშვენებს ოქროს მეწკვი
და ყურებსა—წყვილი ლალი,
აჩონჩხლილა ბეჭდებითა,
ყველაში ზის უცხო თვალი,
უბარტყუნებს მოახლეებს,
დააგლიჯა ზოგს დალალი!...
მებადური წინ წამოდგა
და დედა-ბერს გაესუმრა:
—„ადღეგრძელოს ქალბატონი!...
ხომ შესრულდა, რაც ისურვა?..
დედა-ბერმა ეს იწყინა,
ქმარი ცოლმა არ ისტუმრა,
და ცხენების მოსავლელად
საჯინიბოს გაისტუმრა!...
გაიარა ორმა კვირამ,

ქალი უფრო შეიშალა,
გაკაპასდა, თავის დღეში
ასე ფიცხად არ გამწყრალა.
შეუყვირა თავის ქმარსა,
რაოდენიც ჰქონდა ძალა!...
აზნაურად თავის ყოფნა
აღარა ჰსურს,—დაამწყრალა!...
„გასწი ეხლავ ოქროს თევზთან, —
შეუძახა მებადურსა —
მოახსენე აზნაურათ
სწორედ ყოფნა აღარ მსურსა,
დედოფლობა მოვინდომე,
თუ კი ჩემთვის არა ჰშურსა;
ამითა ვცდი იმის აღთქმას,
დავუფასებ სამსახურსა“...
შეკრთა ჩვენი მებადური,
შეუძახა თავის ცოლსა:
— რამ შეგშალა, დედა-კაცო,
ვისა ჰხედავ შენს ამყოლსა!...
მიხრა-მოხრა შენ არ იცი,
თავს გაისდი ჩასაქოლსა,
ვისთან მგზავნი, რაებს უთვლი,
ვისა ჰხედავ შენსა ტოლსა!...
გადირია დედა-ბერი,
ქმარს ჰკრა სილა უცნაური,

შეუყვირა: „რეგვენი ხარ,
ბრიყვი, ვირი, უთაური,
გლეხი ხარ და გლეხის შვილი
და ჭკორივით უზნაური!...
ვის უბედავ უარის თქმას!..
ხომ იცი ვარ აზნაური!...
გასწი, თორემ წაგათრევენ,
გასწი ეხლავ ზღვისაკენა"...
გამოსწია მებადურმა,
შიშით არც კი შეისვენა: —
ზღვა აღელდა, გადაშავდა,
თევზმა თავი მოაჩვენა,
შემოსძახა: „ბერო-კაცო!
ხომ არ გიჭირს რამე შენა?"...
მებადური უკრავს თავსა,
მოახსენა კრძალვით, წყნარა:
გამლახა და გამამწარა!..
დედოფლად ჰსურს იყოს იგი,
აზნაურად კი აღარა!"...
„ნურას სწუხარ, მე ბეჩაო,—
უთხრა თევზმა მებადურსა,—
მაგაშიაც შეგეწევი,
მე გაგიწევ სამსახურსა.
გასწი შენთვის შენს გზაზედა,
შეგისრულებ, რაცა გსურსა!

კადედოფლებ დედა-ბერსა,
არ დავაგდებ მონამდურსა“....
შინ დაბრუნდა ბერი-კაცი,
ძლივსღა მიჰყვა მას მუხლები,
შაისედა—გაიოცა:
გაჭიმულა სასახლები,
შიგ დედოფლობს დედა-ბერი,
იქ ახლავან მოსულები,
მთავარნი და აზნაურნი,
მდივანნი და ლართ-მცველები....
მეჯლიშია, ლილინია,
ღვინო ისმის ლალის ფერი,
საჭმელებიც ფერადები
სუფრაზეა დიახ ბევრი:
ჯიხვი, არჩვი, ჯეირანი,
გნოლ-კაკაბი, ხოხობ-მწყერი,
ფარ-ხმლიანიც თავს ადგანან,
გაადინონ მტერსა მტერი!...
შეკრთა ჩვენი მებადური.
მუხლსა უდრეკს დედოფალსა,
შესხმა უნდა გაუბედოს,
ვერ ახერხებს ნაათალსა....
მოახსენა: „გაუმარჯოს,
დედოფალო, თქვენსა ხმალსა!...
ხომ შესრულდა, რაცა გსურდათ?—

მეტს ნუღარას დამდებთ კალსა. ...
დედა-ბერმა არ იკადრა,
ქმარს უძრახოს, მხოლოდ ბრძანა:
„გააგდევით ეგ სულელი,
მამაშორეთ თვალიდგანა!“...
ეცნენ ბერ-კაცს კარის-კაცნი,
მიაყოლეს კისრიდგანა,
წაუსვეს და წამოუსვეს,
რამდენიც-კი აიტანა!..
ჯალათებმაც, ცოტას გასწყდა,
არ გაისვეს ხელი ხრმლებსა,
ბერ-კაცს ხალხი-ჯამაათი
დასცინის და ახელებსა:
„ძლიერ კარგად მოგივიდა,
უგუნურს, რა გაუფლებსა!...
რაც არ ექნას მამაშენსა,
ნურც შენ დაჰსევ მარმაშებსა!“-
გაიარა ორმა კვირამ,
დედა-ბერი უფრო სწყრება;
გააგზავნა კარის-კაცნი,
ქმარს იბარებს, ემუქრება....
შებადური მოიძებნეს,
წარუდგინეს,—შიშით ქრება....
დედოფალმა ქმარს უბძანა:
არ მსურს, რაც არ მეკადრება!

გასწი ეხლავ ოქროს თევზთან,
მოუხარე მდაბლად თავი,
ჩემ მაგიერ, უსაცილოთ,
მიუტანე ეს ამბავი:
დედოფლობა არ მინდა-თქო,
არ ჰქონია ამას სვავი,
მინდა ვიყო ზღვათა მეფა,
მქონდეს სარჩო უთვალავი;
ოქროს თევზიც გვერდით მახლდეს,
გავაგზავნო, საცა მინდა"...
მებადური კრინტს ვერა სძრავს,
ხმა სრულებით გაიკმინდა,
ბებერს სიტყვას ვერ უბრუნებს,
შიშის ოფლი მოიწმინდა,
გაექანა ზღვისაკენა,
თუმცა წასვლა კი უმძიმდა....
რა მივიდა ზღვის პირასა,
დაინახა ფრთონა ზღვისა:
შავ-ბურუსი მოსდებია
და ქუსილი ისმის წყლისა,
გრგვინვა არის საშინელი,
წვიმისა და ქარიშხლისა.
შეუძახა ოქროს თევზსა,
თუ მიწვდენა შესძლო ხმისა!...
გამოცურდა ოქროს თევზი,

ბერ-კაცს თავი მოაჩვენა,
შემოსძახა: „მებადურო!
ხომ არ გიჭირს რამე შენა!“....
ბერი-კაცი უკრავს თავსა,
მერე კრძალვით მოახსენა:
„ი წყეულმა დედა-ბერმა,
არ იქნა, არ მომასვენა:
დედოფლობა დაგვიწუნა,
გამითქვიფა, ბეჩავს, თავი,
ზღვის მეფობა მომინდომა,
მასთან სარჩო უთვალავი,
თქვენი სლებაც მოისურვა,
გასაგზავნად, როგორც ნავი;
და ეს იყო წამოველი,
მოვიტანე ეს ამბავი“....
ოქროს თევზმა მოუსმინა
ყველაფერი მებადურსა,
მაგრამ საწყალს ხმა არ გასცა,
საბრალოს და უბედურსა,
გადუქნია ბოლო ზღვასა,
შეუცურდა თვის სადგურსა...
მარტო დარჩა ბერი-კაცი
უადგილო უდაბურსა!...
დიდხანს იჯდა პასუხისთვის,
ვერას გახდა საცოდავი,

ადგა და შინ წამოვიდა,
ძირს ჩაღუნა მწარედ თავი....
შინ დაუხვდა ძველი ქოხი,
გომი, ბადე და ნემს-კავი,
დერეფანში—დედა-ბერი,
მატყლი, მისგან დანართავი!....

---

## ს ი მ ღ ე რ ა

***

ნეტარ იმ დღეს, შე რომ ბაღში მელოდი,
მოველ და გულს მომაშორე მე ლოდი!
შენის ეშხით მე თავ-ზარი დამეცა,
მთლად ავთრთოლდით, მახსოვს, შენცა და მეცა....

—

მოხველ და გულს გადმომფინე დალალი,
ბროლ-ფიქალი, ვარდ-გიშერი და ლალი!
შენი შეყრა ამ ჩაგრულს გულს იამა.
ფშვენით მატკბე, როგორც ვარდმა, იამა.

—

დამხსენ ოხვრას, ტანჯვას, კვნესას, ცოდვილსა,
გამიხსენი სამოთხე მე ცოდვილსა!...
გადმაყარე გულზე, თავზე სულ ია,
მეც შეგწირე სიცოცხლე და სულია!...

—

დრო იცვალა: მიმუხთლა ვინც მიწამა...
აღარც მომკლა, რომ მიმიღოს მიწამა...
ჯოჯოხეთად შემიცვალა დარია...
ჩემს წყლულს გულში სამსალა რამ დარია!..

—

აღარცა ჰსურს მისალბუნოს იარა...
ჩემმა სატრფომ ჩემკენ აღარ იარა!....
მე, უძლური, ვგდივარ ასე ავადა....
რა შევცოდე, რომ მომეპყრო ავჭდა!..

—

და ეს გული უწყალოდ რად ასერა?
ესოდენი რა ვაწყინე ასე რა?
რისთვისა მკრა გესლიანი ისარი?
ჩემი მკვლელიც და მომრჩენიც ის არი!

—

მოდი, ჩემო, წყლული გული დასნამე,
ან არა და გულში დამეც დანა მე!
მოისწრაფე, როგორც მარჯვე მომკალი,
ან მაცოცხლე, ან ისევ შენ მომკალი!...

---

## ა ღ ზ ე ვ ა ნ ს  წ ა ს ვ ლ ა

მარილზედ მივლენ ბიჭები,
დარდი არა აქვთ გულშია,
ურემი მისდევს ურემსა,
მოლტების ტყლაშა-ტყლუშია!...
ნაცადი ბიჭი მიუძღვის,

ტკბილად დამღერის ხარებსა,
ჰფიქრობს, მოივლის ალზევანს
და ცოლ-შვილს გაახარებსა.
„ალზევანს წავალ მარილზედ,
მარილს მოვიტან ბროლსაო,
გაუწი, შინდავ, გიშერას,
რადა ღალატობ ტოლსაო?
გაუწი, ქედის ჭირიმე,
გიშერა ცოდო-ხარია,
უშველე, ნურას ცუღლუტობ,
ტოლს დაუჭირე მხარია....
ურემი, ჩემი ურემი,
გამყოლი არის ხარისა,
არ ეფიქრება კლდე-ღრისა,
ალზევნის მთა და ბარისა....
ღერძი უდგია წიფლისა,
გასაპნულ-გაპოხილია,
ზედ თვლები ნიგვზის მორგვებით
გახეშილ-გაჭედილია;
უბე გავაწყე ლართხებით,
დანდლებით გადაბმულია,
ისე გაუძლებს ასს ქვასა,
არსად დასჭირდეს ცულია.
თვლები დავკვერცხე, რა თვლები,
გრგოლივით ჩამოსხმულია,
ჯაგ-რცხილის ფესვებს მოვკიდე
სოლებად იფნის გულია....
გინდ გავატარებ თოკზედა,
არ მოკვდეს ჩემი თავია!...
გაუწი, შინდავ, გიშერას,

ნუ სცრუობ, ნუ ხარ ავი!...
ალზევანს მიკალთ მე და შენ,
როგორ არ გაგვიხარდება,
ლოკე და ლოკე მარილი,
არავინ გაგვიჯავრდება...
შენ რაღას ხვნუში, ნიკორავ?
ღონე თუ გამოგლევია!
ეშმაკობ, თორემ ჯერ ირმას
შენთვის არ დაუძლევია!..
ალზევან წავალ მარილზედ,
მარილს მოვიტან ბროლსაო,
ჯერ დედას გადავეხვევი,
მერე შვილსა და ცოლსაო"!

---

## ღმერთო, გვიშველე

მოვედით, შენდა, ღმერთო, ძლიერო,
შენ შეგვიბრალე ჩვენ, სახიერო!
დანერგე ჩვენში დიდი სიქველე,
რომ მოვეხმაროთ მეზობელს, მოძმეს....
ღმერთო, გვიშველე, ღმერთო, გვიშველე!

—

აგერ გლახაკნი, უთუოდ ჰშიანთ,
რადგან თოვლ-ჭყაპში კარ-კარ დაწრწიან...
იმათ სტანჯავს ყინვა, სისველე...
ეგებ შევმოსოთ და მივსცეთ ლუკმა...
ღმერთო, გვიშველე, ღმერთო, გვიშველე!

—

აგერ ბალღები,—ჴსურთ სწავლა გულით,
მაგრამ სადა აქვსთ ამისთვის ფული?...
გარს უნდა ერტყათ მუდამ სიბნელე....
შეგვაძლებინე, მივცეთ ან-ბანა,—
ღმერთო, გვიშველე, ღმერთო, გვიშველე!

—

ქართველს რომ უჭირს, ჰწყურს სულია,
თითქოს რაღაცა დაცემულია,
და მოერია ჯიბის სითხელე,—
შეგვაძლებინე, რომ მოვეხმაროთ...
ღმერთო, გვიშველე, ღმერთო, გვიშველე!

—

შენ შეიბრალე გლეხი, საწყალი,
დაუსაკუთრე მიწა და წყალი,
„ნადელის“ შესხნა ნუ გაუძნელე...
ჩვენც შევეწიოთ, შეგვაძლებინე,—
ღმერთო, გვიშველე, ღმერთო, გვიშველე!

—

მოგვეცი პური ჩვენ არსებისა,
შეგვინდე ცოდვა, ცოდვა ვნებისა;
ტანთ-სამოსელი ნუ დაგვიძველე,
მოგვეც, უფალო, ჯანი, სიმთელე...
ღმერთო, გვიშველე, ღმერთო, გვიშველე!

———

## ღმერთი დიდია, ღარიბო!

რამ დაგაღონა, ძმობილო,
პური თუ შემოგელია?...
მოხან, მოთესე, მოიმკე,
ბუნება მწყალობელია;
გამხნევდი, ძმაო, იმედი
არსად არ გაგიფრინდება,—
„ღმერთი დიდია, ღარიბო,
გული ნუ შეგიშინდება."

---

წუთი-სოფელი ცრუ არის,
აქ ყოფნა ერთი წამია;
გამხნევდი ყველა საქმეში
და გაისარჯე, ძამია....
როცა რომ იასაული
უმართლოდ ჩაგაფრინდება,—
„ღმერთი დიდია, ღარიბო,—
გული ნუ შეგიშინდება."

---

შფოთს ნუ აუტეხ ნურავის,
ყველასთან იყავ ძმურადა;
დავას რომ სარჯი მოჰყვება,
შენ ის გეყოფა პურადა.
თუ მეზობელი აგიტყდა,

ჩქარობს და აგიღრინდება,—
„ღმერთი დიდია, ღარიბო,—
გული ნუ შეგიშინდება.“

—

რაც დაგდო ბედმან ვალადა,
თავ-თავის დროზე აძლიე;
სათემო სამსახურები
არ შეირჩინო,—დასძლიე;
და მაშინ მამასახლისი
თუ რასმე აგისირდება,—
„ღმერთი დიდია, ღარიბო,—
გული ნუ შეგიშინდება.“

—

ღვდელს საქორწილო, საკურთხი
მიართვი დაწესებული,
რომ ვეღარ გისაყვედუროს,
მაშინ იქნები ქებული;
თუ მეტს დაიწყებს თხოვნასა,
იქამდინ გამოტვინდება,—
„ღმერთი დიდია, ღარიბო,—
გული ნუ შეგიშინდება.“

—

ვალს ნუ აიღებ ვაჭრისგან—
იმისი ვალი ძნელია;
თუ გაგიჭირდა, გვერდით გყავს

შენივე მეზობელია.
ისევ მან ირგოს ცოტა რამ,
ვალი არ გაგიმსხვილდება,—
„ღმერთი დიდია, ღარიბო,
გული ნუ შეგიშინდება,"

—

პატივი ეცი ცოლ-შვილსა,
შენ ხარ იმათი პატრონი.
მათ ნუ გაიხდი ბატონად,
ნურც გაუხდები ბატონი.
ცოლმა თუ დაგიმაბუნა,
და ზოგჯერ წაგეკიდება,—
„ღმერთი დიდია, ღარიბო,—
გული ნუ შეგიშინდება."

—

## ყ ა ნ ა

ყანავ, შენ ჩემო ყანაო,
ნამი გიამა განაო!
გისხდება ოქროს ქოჩორი,
რამ შეგქმნა მაგისთანაო!...
ყანავ, შენ ჩემო ყანაო,
ტურფავ და ლერწამ-ტანაო,
მარცვალს ამზადებ მსხვილ-მსხვილსა;
უფალმა ასე ბძანაო!

გეთამაშება ნიავი,
ზღვასავით ღელავ, სვიანი,
შენი შრიალი მასხარებს,
ღმერთმა გაშოროს ზიანი!
მწე დაგდგომია თავზედა,
გიყურებს კაი თვალზედა,
ციდგან დაგმღერის ტოროლა,
მე იმას ვიცნობ ხმაზედა.
აგერ ღრუბელმაც შურითა,
სეტყვითა მონაშურითა,
გადაგიარა გრგვინვითა,
მესმოდა ჩემის ყურითა.
ღმერთო, აგვცილდეს ავია,
შენდა მოვხარე თავია,
დალოცე ჩვენი ნაშრომი,
გვისომე კარგი ხვავია!...

---

## სასჯელის განჩინება

თუ მათქმევინებ, მე გეტყვი მართალსა ამისთანასა:
ვინც დაიწუნებს კეკლუცსა, ტურფასა ჩემისთანასა,
იმას მივუგდებ გონჯ ქალსა, დავანატრებ ლამაზსა,
მეც რადგან მინდა სიცოცხლე;—გულში დავიცემ დანასა.

---

## მ უ ხ თ ა ლ ს

მიყვარდი და ვსტკბებოდი სიყვარულისა შხამით,
შევტრფოდი, შევხაროდი, სიცოცხლეს ვშრეტდი ამით...
მომშორდი, გამეცალე, მე გული აღარ მსურის,
მუხთალის სიყვარულის მე ტრფობა აღარ მწყურის!..
ან კი რად დამინდობდი, მაცდური ევას თესლი?..
მომშორდი, აღარ მათრობს მე სიყვარულის გესლი!..
გამოვფხიზლდი, მოვიმკე ეხლა ჭკვა და გონება,
არ მწყურის სიყვარული, არ მსურს მუხთლად მონება!...

—

საყვარლისა მუხთლობა, სცადეთ, როგორ ძნელია...
წყეულ იყოს, ვინც მუხთალს გაუშვიროს ხელია!...

———

## ნ ა ნ ა

(ბერძნულიდამ)

ნანა, ნანინა, შვილო,
ტკბილად იძინე, ტკბილო!
ლამაზი ხარ მძინარი...
შენი მამა ვინ არი?.
—ორბი, მზე და ქარია,
მაგრამ რა სახმარია?...
ორბი გაფრინდა შინა,
ნეტა რამ შეაშინა?

მზე მოეფარა მთასა,
ქარი სამი დღის უკან
დაუბრუნდა დედასა.
ქარსა ჰკითხავდა დედა:
„შენ ტუნტულს როგორ ჰბედავ?..
სად ეთრიე ამ სამს დღეს?
თუ ეომე ვარსკვლავებს?
ან ზვირთებს თუ ისროდი?
შეგაწიო ის როდი!“...
ზვირთებს კი არ ვისროდი,
არც ვარსკვლავებს ვისროდი,
მე ვუვლიდი ბაღანას,
არა ვგრძნობდი დაღალვას,
მე მიმოზას ვუწევდი,
ნაზად აკვანს ვურწევდი.

---

## ყვავილების სიმღერა

### ვარდი

ჩემი ყნოსვა ტკბილია,
მაგრამ იყავ ფთხილია:
მე მასხია ეკალი...
მეტრფის კაცი და ქალი.

მე მეძახიან ვარდსა,
გულს გადაგიშლი დარდსა,
ფერითა ვარ ლამაზი,
ყნოსვით—უცხო და ნაზი.

## ი ა

გამოიცან, რა მქვიან?
მოვალ სხვაზე ადრიან,
მოგილოცავ გაზაფხულს,
სურნელებით გიტკბობ სულს!
ბუჩქის ძირასა ვყვავი
და მომიხრია თავი....
ჩემი სახელი—ია,
ნაზი ვარ და გულ-ლია!..

## ზ ა მ ბ ა ხ ი

ქართლში მქვიან შროშანი:
თეთრი, ჭრელი, სოსანი.
ვამკობ ბაღჩეებს და წყლის პირს,
თავს არავის ვუხრი ძირს!..
მე გახლავარ ზამბახი,
ჭეჭელების ამბოხი,
ჭინჭველა და ჭეჭელა—
მე მეხვევა სულ ყველა!

## ს ო ს ა ნ ი

ტანად ვარ იის ფერი,
არ შამრჩება ის ფერი;
გამწურვენ და ხარობენ:
სალებავად მხმარობენ.
მე ვაშვენებ ყანასა,
ყვავილს ჩემისთანასა,
არვინა ჰყავს მგოსანი...
მე გახლავარ სოსანი!

---

## მ ე ს ა წ ი რ ა ვ ი

ბედმა მრისხანემ მომისპო სარჩო და ჭირნახულია,
დამტაცა ცოლი და შვილი, არ შემარჩინა წულია!
შამომისია მოყვასთა გულ-მტკივნეული ჯარია,
მოიძაგნენ მანუგეშებლად, დამძახეს გლოვის ზარია!
თავიღა შემრჩა ტიალი და მკლავი მტკიცე ხმლიანი.
ამით ვუნახავ სამშობლოს, რომ ააცილონ ზიანი.

## მილოცვა ახალწლისა

ძველი წელი გავისტუმრეთ, მოგილოცავთ ახალ წელსა!
მოგილოცავთ, რომ გადურჩით უნაყოფოდ-წარსულს, ძველსა!
იანვარი—ბატონებო—ვხედავთ, აგერ, წამომდგარა!...
კეთილი მსურს ქვეყნისათვის... მაშ ვინატრო?—ვისთვის
და რა?..
სამსჯდროში ვინცა სუსტობს, ღმერთო, მიე მკლავში ძალა,
„ტირაჟში“ ნუ გამოიყვან, თუ კი თავი შეგაბრალა...
დამოყენაში,—ღმერთო, ნუ იქ,—რომ ხავერდი იქცეს ნარ-
მად!...
შენ მოჰკვითხე იმ ვაჭარსა, რომელიც ფულს იგებს არმად!..
„სტრასში“ შეტანილს მამულებს, იმერთ დაუნელე ცე
ცხლი,
ნუ გაასხარებ „აგენტებს“, რომ ირჩიეს იმათ ვერცხლი!...
ვინატრი: „სუდნი კასსები“ მოსპობილიყოს ქალაქში,
თსა თსაში არ გაეცვალოსთ, „პარიკმახერი“—დალაქში...
ვინატრი: ხორაგეულის შემცირდეს ნიხრი, „ტაქსია“...
ნეტამც ყველაფრის ფასები ნახევრად გადაქცია!...
ალვასასზს ხომ ვერ გავბედავ, აღარ არის „მოდაშია“,
განიჯე ტი და ნაძვის ტოტი ღმერთმა მოგცეს ოდაშია!
ვნატრობ, ქალებს, კუდიანებს, დაუმოკლდეთ კაბის კუდი,
შვილებს გვერდით მოჰხსნდომოდნენ, აღარ ითქვას მათზე
ცუდი!...
ბულვარზე არ დადიოდნენ, უსაქმოდ და უხეიროდ,

თუ მოსწყინდეთ, ხანდის-ხანა, ბალს მიჰმართონ სასეირ-
ნოდ...
„კლუბში“ ღამეს ნუ ათევენ, ნუ იღუპვენ თავს „ბალებში“...
ვინატრი, რომ ქმრებს და შვილებს შესცქეროდნენ სულ
თვალებში.
ღმერთსა ვთხოვ, რომ საქართველოს განათლება მოეფინოს,
ღმერთსა ვთხოვ, რომ ქართველ კაცსა სულით-გულით
მოელხინოს!...
ვნატრობ, რომ ის არ დამუნჯდეს, შერჩენოდეს იმას ენა,
რომ „პრიკაზჩიკსაც“ გადაურჩეს და მიეცეს ამით ლხენა!
ვნატრობ, ბანკში შეეტანოს, თავის დროზედ მას ფულები,
რომ გეურქას არ ჩაეგდოს მისი პაპის მამულები!...
მსურს, მუშა ხალხს გაუმარჯვოს თავის ოფლით და სწავ-
ლითა,
ყველა უხვად მისცემოდეს, მაძღარ იყოს მოსავლითა!
მამასახლისს არ ეჩაგროს, „პრისტავსა“ და იასაულს...
ღმერთო, შენით შეიძლება, შენ მოასხდენ ამ სასწაულს!..
მსურს, რომ „იმედს“ მოემატოს, გაუმრავლდეს იმედები,
განშორდეს უნიჭო ხალხი და შეუმცირდეს ყბედები...
ვნატრობ, „შრომას“ დაუმკვიდრდეს სახელი უფრო ძლიერი,
გამრავლდეს მისი მკითხველი და შრომა ნაყოფიერი!..
„კავკაზს“ მიეცეს სახსარი და რედაქტორი ახალი,
ფერი და შინაარსობა, ხალხი არ ჭყვანდეს დამფთხალი...
ქართულსა სცენას მიეცეს ახალი „რეპერტუარი“,
ხალხმა იაროს სშირადა და აღარა სთქვან უარი...

მსურს და ვნატრობ, ისახელოს ძველებურად „ივერიამ“
თანაუგრძნოს სუყველამა, ერთიანად ივერიამ!..
ნეტამც გაძღეს ადვოკატი, მიეცეს მღვდელს და მოხელეს,
ეგებ ცოტა შეგვისვენოთ, თორემ ჯიბე გაგვითხელეს...
ჩემთვისაც ვნატრობ, მომაკლდეს,— თუ-კი სადმე მყავს მე მტერი,
გამრავლდეს ჩემი მკითხველი, მიგრძნობდეს ქართველისა ერი!...

---

## მ გ ზ ა ვ რ ე ბ ი

—რას შემომჩივლი, ყმაწვილო, ემაგრე მედიდურადა,
მე „გამარჯვებას“ შეგკადრე თავმდაბლად, ბატონ-ყმურადა...
თუ კაი კაცის შვილი ხარ, გაზრდილი ძველებურადა,
შენც უნდა გზა დამელოცნა, სვევნას არ გთხოვდი მძუ-რადა!

—„რაებს გადასცემ, ოხერო, სულელი ხარ, თუ ჭკვიანი?
გუშინ არ იყო, თავს მადგნენ შენგვარი ქალმებიანი?“..
—არა, ძმობილო, ის კაცი სხვა კაცი იყო, ყმიანი,
ვისაც რომ ახლდნენ ჩემ-გვარი ბიჭები ქალმებიანი!..
ის კაცი შენ არა გგავანდა,—მისნე იყო, ზრდილი, ღვთიანი,
ბატონი ყმასა ჭამამობდა, ყმა-შვილიც ახლდა სვიანი!

---

## შ ვ ი დ ნ ი   ვ ა რ თ

(აზრი რუსულიდამ)

წინ შამეხვება გოგონა, ტურფა, თმა-სუჭუჭიანი,
რვა წლის თუ იყო ბაღანა, სახე მეტყველი, ჭკვიანი;
რომ დამინახა შეჩერდა, ღიმი უქროდა პირზედა;
სულაც არ შეკრთა, იცდიდა, იქვე გზის განაპირზედა.
მაშინ სოფლელი ჩითკაბა. შვენოდა, როგორც ველია,
წინ წავდგე მისაფერებლად, თმაზედ გადვუსვი ხელია,
მერე წყნარის ხმით და ტკბილად შევკითხე ალერსიანათ:
—„ნეტა და-ძმანი თუ გყვანან? — სულ რამდენი ხართ ძმიანათ?
—„შვიდნი ვართ!“—მითხრა—ბატონო: ორი გემზეა ზღვაშია,
ორნი სოფლებში წავიდნენ, სამუშაოზედ მკაშია,
ორნი და-ძმანი დავმარხეთ—ავადმყოფეს მწარედა,
ერთიც მე, დედასთანა ვარ... დიახ, შვიდნი ვართ სწორედა“....
—„რას ამბობ, გოგო? თუ ორნი თქვენ მიწას მიაბარეთა,
ხუთნი ყოფილხართ მაშ ესლა, ყველანი შინ და გარეთა?“...
—„არა, დედას მზემ, ბატონო!.. შვიდნი ვართ სწორედ და-ძმანი:
ორი აქ ასაფლავია—ერთი მე, ოთხნიც ხომ სხვანი?“...
—„კიდევ!.. ვერ მიხვდი, მგონია?.. აბა რას ამბობ, დაიკ?..

ხუთნი ყოფილხართ, თუ მართლა ორი აქ ასაფლავია."
—„შვილნი ვართ, ძიავ, დედას მზემ!.. ვერ მიგახვედრე?..
რა მომდის?!..
სულ ათი ბიჭი არ არის ჩვენიდგან სასაფლაომდის...
მე იქ ზაფხულში წინდას ვქსოვ, ვზივარ და ვუმღერ და-ძმასა,
მთვარე გვინათებს ლამაზად, სხვა ძმები ჰზიდვენ შინ ძნასა...
ზოგჯერ ყველს და პურს მივიტან, იქვე ვჭამ ტკბილად ვახშამსა,
ხან იქვე წამოვუწვები და მივიძინებ ერთს წამსა...
ჩემი დაია კეკელა, ავად რომ გახდა, იწვალა,
მოგვშორდა, მორჩა ტანჯვასა, იმას უშველა ფუფალამ...
დავასაფლავეთ... როცა რომ ამწვანდა ბალი და ველი,
თან წავიყვანე ტიტიკო და კეკელასთან მიველი..
იქ ვითამაშეთ, ვიცელქეთ, იები ვკრიფეთ მთელ დღესა...
დაზამთრდა. ტიტოც მოგვიკვდა, გვერდთ მოვუწვინეთ კეკესა!"..
—„მაშ რამდენნი ხართ, პაწიავ?.. ორნი თუ ზეცას არიან?..
ხუთნი იქნებით თქვენ ეხლა, რომ ჩაუფიქრდე გვარიან"....
—„არა, ბიძიავ, შვიდნი ვართ.... არ მოკვდეს ჩემი თავია!"..
—„ხუთნი იქნებით, გოგონავ, ორნი თუ ასაფლავიან?"...
— „რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე?—იძახდა: „თუ მწამს ღმერთია!...
შვიდნი ვართ, შვიდნი, დედას მზემ, ყველა და-ძმანი ერთიან"...

# ს ა რ ჩ ე ვ ი


1) ქოროღლი . . . . . . . . . . . . . 1
2) რაზედ მიწყრები ყეენო? . . . . . . 2
3) ქალი—აყვავსა. . . . . . . . . . . „
4) თინიას მამითადი . . . . . . . . . 4
5) სურათი სოფლის ცხოვრებიდგან . . . . . 6
6) დაკოდილი. . . . . . . . . . . . 7
7) თანდილას დარდი. . . . . . . . . 8
8) ჩანჩქარი . . . . . . . . . . . . 9
9) მოუმკალი ყანა . . . . . . . . . . „
10) დედაბრის მოთქმა. . . . . . . . . 10
11) წისქვილი . . . . . . . . . . . . 11
12) გუთანი. . . . . . . . . . . . . 12
13) სამზითვო. . . . . . . . . . . . 13
14) გაზაფხულდა . . . . . . . . . . 14
15) გაზაფხულის ქუხილი. . . . . . . . 15
16) სათიბი. . . . . . . . . . . . . „
17) ბერუას ჩაფიქრება . . . . . . . . 16
18) სესიას ფიქრები . . . . . . . . . „
19) ღამის მეხრე . . . . . . . . . . 17
20) ობოლი. . . . . . . . . . . . . 18
21) ტეტიას მოთქმა . . . . . . . . . „

22) შიმშილი . . . . . . . . . . . . . 19
23) ბეჟუას ჩივილი . . . . . . . . . . 20
24) ალები. . . . . . . . . . . . . 21
25) მოკითხვა . . . . . . . . . . . . 22
26) ხსნეული ოჯახი . . . . . . . . . . 24
27) ხმა ღვთისა და ხმა ერისა . . . . . . „
28) რას შამომცქერი, ძმობილო . . . . . . 26
29) მიხრწნილი . . . . . . . . . . . 27
30) ბუზი . . . . . . . . . . . . . „
31) გოგოს ჭირიმე . . . . . . . . . . 28
32) რას აზუზუნებ მაგ ფანდურს . . . . . „
33) წიგნი მოწერილი ჯვარიდგან . . . . . 30
34) მასის . . . . . . . . . . . . 31
35) თედუ . . . . . . . . . . . . 32
36) სამი [illegible]ურათი . . . . . . . . . 35
37) სამი და. . . . . . . . . . . . 37
38) მოწოდება . . . . . . . . . . . 38
39) მევენახის სიმღერა . . . . . . . . „
40) ღამის მეხრის სიმღერა . . . . . . . 40
41) დემეტრეს ჩივილი . . . . . . . . 41
42) კაცი ის არის . . . . . . . . . . 42
43) მეცხვარე თრიალეთზე . . . . . . . 43
44) ხინჩლას გალაშქრება ქისტებზე. . . . . 46
45) რძალ-დედამთილის ჩხუბი . . . . . . 48
46) კავკასია. . . . . . . . . . . . 50